



**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებლესა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თურქული ფილოლოგიის პროგრამა**

**ადამიანის შესახებ მეტაფორები, როგორც სტილისტური ხერხი აჰმეთ ჰამდი
თანფინარის რომანებში**

**სინემ ათიშ
თურქულის ფილოლოგია, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი**

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ილიას უსთუნიერ

(სახელი, გვარი)

(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი)

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. მუსთაფა ასლან, ასოცირებული პროფესორი დოქტორ

2. მუზაფერ ქირი, ასოცირებული პროფესორი დოქტორ

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. მაილ ბ. ასქეროვ, პროფესორი დოქტორ

2. მარინე შონია, ასოცირებული პროფესორი დოქტორ

შესავალი

აჰმეთ ჰამდი თანფინარის წერის სტილი არის ის უმთავრესი მახასიათებელი, რაც მას მისი თანამედროვე თურქი მწერლებისგან განასხვავებს. მწერალს არ გაუხდია თავისი პერიოდის წმინდა თურქული ენა მისი მწერლობის მთავარ ინსტრუმენტად, როგორც ამას სხვა თურქი მწერლები ცდილობდნენ. მშვიდობიანობის პერიოდის შემდგომ წლებში (1918-1922) ვესტერნიზაცია, რომელიც აქტუალური გახდა 1930 წლებში ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით, არ მიიჩნეოდა თურქულ ენას იმ ძირითად ელემენტად, რაზედაც უნდა დაფუძნებულიყო ზოგადად ლიტერატურული ენა.

ამ ფენომენის შემჩნევა შესაძლებელია თანფინარის ნარაციის ყველა ჟანრში. მისი სტილი წარმოადგენს პროცესს, რომელიც გადმოგვცემს იმ ადამიანების ყოფას, რომლებიც ცდილობენ განსაზღვრონ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებები სხვა ადამიანებთან მიმართებაში, რასაც თანფინარი აღნიშნავს ერთერთ მის ინტერვიუში რომელიც უკავშირდებოდა მის რომანს სახელწოდებით სიმშვიდე. აღნიშნული კომპონენტები ფუნქციონირებენ მისი ნაწარმოებების დისკრეტულ დონეებზე.

პოეზიაში, და განსაკუთრებით რომან სიმშვიდეში (Huzur) მწერლის წერის სტილის უმთავრესი მახასიათებელია მის მიერ გამოყენებული ფიგურატიული სტრუქტურები უფრო მეტად, ვიდრე მისი ფიქცია. თანფინარის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი ადამიანის ფენომენს უჭირავს რომელსაც იგი უშუალო რეალობიდან სუბლიმირებული გზით, ფიგურატიულად ასახავს. მწერლის მიერ რეალობასთან მქონე ასეთი ტიპის დამოკიდებულება გახდა მისი ესთეტიური აღქმის ფორმირების მიზეზი. მისმა ამ თვისებამ მწერალს დახმარება გაუწია ისტორიული, ლიტერატურული, პოეტური, მუსიკალური, ესთეტიკური, ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური თემატიკის მისსავე ნაშრომებში მაღალოსტატური გზით გადმოცემის საქმეში. რადგანაც ხელოვნება ამდიდრებს ობიექტური რეალობის ადამიანისეულ გრძნობით აღქმას ეპისტემოლოგიური განზომილებების დონეზე,

მათი გარკვეული ფორმით გადმოცემა წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს მწერლისთვის.

თანფინარი დაიბადა 1901 წელს. მან თავიდანვე შეიძინა ფართო ცოდნა თურქულ პოეზიაში და გაიცნო ცნობილი თურქი სიმბოლისტი და სურეალისტი პოეტი აჰმედ ჰაშიმ-ი მის ახალგაზრდობაშივე. 1919 წელს თანფინარმა სწავლა დაიწყო სტამბულის უნივერსიტეტში, სადაც იგი შეისწავლიდა პოეზიას იაჰია ქემალის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ პერიოდში თანფინარი გაეცნო ფრანგული პოეზიის წარსულსა და იმჟამინდელ მდგომარეობას, ხოლო მიღებული ცოდნა კი გამოიყენა მოგვიანებით, წერის საკუთარი სტილის ჩამოყალიბების პროცესში. ი. ქემალის რეკომენდაციებით თანფინარი გაეცნო ფრანგულის პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების, პოლ ვალერისა (1871-1945) და მასრელ პრუსტის (1871-1922) შემოქმედებას. მის მიერ გაცნობილი პოეტებიდან ორი თურქი, ხოლო ორი უცხოელია და მათთან მიმართებაში ცნობილია ის, რომ ოთხივე მათგან გააჩნია მწერლობაში მშვენიერების აღქმის ჩინებული უნარი, რაც მათ შემოქმედებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს. ხსენებულმა ოთხმა მწერალმა უდიდესი როლი ითამაშა თანფინარის ესთეტიკური აღქმისა და მისი, როგორც მწერლის თავისებური სტილის ჩამოყალიბებაში. თანფინარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეზიას, თუმცა თავისი ყველაზე სიღრმისეული აზრები და შთაბეჭდილებები მან რომანის, ესსესა დამოთხრობების მეშვეობით გადმოსცა (Akün, 2008, s. 1).

თანფინარის მწერლობაში რომანი წარმოადგენს ჟანრს, რომელშიც უშუალოდაა წარმოჩენილი მწერლის ესთეტიკური პლატფორმა და მისი მსოფლმხედველობა. თანფინარი შეეცადა თავის რომანებში შეექმნა განსაკუთრებული სახეები (ახალგაზრდა-ხნიერი, კაცი-ქალი და ა.შ.) და მათთვის გარკვეული იდენტობები მიენიჭებინა. მან ეს შეძლო გმირთა ბედისწერის, მათი ტრაგედიების, წინააღმდეგობების, ბედნიერების, სიძულვილისა და გამარჯვებების სიღრმისეული გადმოცემით. რათმაუნდა, ყველა ეს ასპექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოხსენებულებით. ავტორი შეეცადა ადამიანური მდგომარეობების ესთეტიზირებას სხვადასხვა ფენომენტთან მიმართებაში. დროდადრო იგი

ცდილობდა მიეღწია ესთეტიკური სრულყოფილებისთვის როგორც ფიქციის, ასევე ლინგვისტური უანრების მეშვეობით. მისი ესთეტიკური რიტორიკა, რომელიც ფიგურატიულ სტრუქტურებს, სინტაქსსა და ფიქციას ეფუძნება, არის მნიშვნელობათა თანმიმდევრული განვრცობის საშუალება. თუმცადა, ეს მოვლენა მის ყველა რომანში არ ჩანს. რომანი *სიმშვიდე* წარმოადგენს თანფინარის ესთეტიკური ნარაციის მწვერვალს, როგორც ლიტერატურული სტილისა. ხსენებულ რომანში ერთადაა მოცემული სამი ძირითადი ტექნიკური კომპონენტი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ლიტერატურული ნაწარმოები იყოს ფუნქციონალური, ესენია: მწერლობის ენა, სტილი და გადმოცემის ფორმა.

ზოგადად, თურქულ მწერლობაში სტილი განისაზღვრება არაბული და სპარსული წარმოშობის სიტყვებისა და ფრაზების გამოყენების ინტენსიობით და ეს ლინგვისტური ფაქტორი განსაზღვრავდა თურქული ლიტერატურის მთავას მახასიათებელს საუკუნეების განმავლობაში, რაც გახდა თურქულის განუყოფელი ნაწილი. თანფინარმა შექმნა თავისი ორიგინალური წერის სტილი თურქული ენის ესთეტიკური და მაღალმხატვრული გამოყენების მეშვეობით. წერის თანფინარისეული ეს ტექნიკა ნათლად ჩანს მის რომანში სახელწოდებით *სიმშვიდე*, რომელშიც მწერალი ახდენს დასავლური ლიტერატურიდან აღებული ლიტერატურული თეორიებისა და მიდგომების ინკორპორირებას ნაწარმოებში. აქ მნიშვნელოვანი ასპექტია მწერლის გამოხატვის ორიგინალური სტილის და მის მიერ გამოყენებულ სიტყვებს შორის სიღრმისეული სემანტიკური კავშირების დამყარება, რითიც დიდ გავლენას ახდენს მისი მკითხველის წარმოსახვის უნარზე. თანფინარი იყენებს წერის ტრადიციულ სტილებს და ამავედროულად ქმნის წერის ორიგინალურ მანერასაც.

მოდერნიზმი, როგორც მიმდინარეობა ხელოვნებაში ზოგადად, დროგამოშვებით ხდებოდა ანტიპათიური განწყობების ობიექტი. მას შემდეგ, რაც თურქულ სკოლებში კურიკულუმებიდან ამოიღეს დივანის ლიტერატურა, როგორც საგანი, მისი, როგორც ჟანრის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ “შეუძლებელი იყო იმაზე უარის თქმა, რაც სამუდამო ღირებულებას წარმოადგენდა“. თანფინარი დროდადრო დგებოდა თავის ნაწარმოებებში

ტრადიციული და მოდერული ლექსიკისა და ზოგადად ენის არჩევის დილემის წინაშე. მისი, როგორც მწერლის ერთერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი ისეთი სახით სთავაზობს მკითხველს მოვლენათა და საგანთა შორის ურთიერთმიმართებებს, რომ შესაძლებელი იყოს მათთან მიმართებაში სხვადასხვა ინტერპრეტაციების გაკეთება.

სტილისტური ნიშნით სიტყვების კატეგორიზაცია შეიძლება შემდეგი სახით: კონცეპტუალური, მგრძობელობითი, ფარისევლური და არაპირდაპირი, ტრივიალური და მაუტრირებელი, კონკრეტული და გაურკვეველი, მსიდი და აღმგზნები, ვულგარული და ამაღლებული, მარტივი და ესთეტიკური. სიტყვებსა და მთლიან ლინგვისტურ სისტემას შორის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით კი ისინი იყოფა საპალარაკო და წერილობით, კლიშე და ინდივიდუალურ სიტყვა-გამოთქმებზე. ბოლოს კი, სიტყვები შეიძლება დაიყოს სუბიექტურად და ობიექტურად იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს მათ მწერალი (Wellek & Warren, 2013, p. 205).

ერთერთი მთავარი ელემენტი, რაც განსაზღვრავს და განაპირობებს ავტორის ლიტერატურულ სტილს არის მის მიერ მეტაფორების გამოყენება.

ტერმინი მეტაფორი ნაწარმოებია ბერძნული სიტყვისგან “მეტა“, ოსმალურ თურქულში კი მის სინონიმად გამოიყენებოდა არაბული წარმოშობის სიტყვა “*istiare*”. 1940-იანებში ნურულლაჰ ათაჩ-მა გასცა რეკომენდაცია, რომ არაბული წარმოშობის სიტყვა შეცვლილიყო თურქული წარმოშობის ტერმინით “*eğretileme*” (Üstünyer, 2004). სადავითა ის საკითხი, აღნიშნავენ თუ არა ერთსა და იმავე რამეს არაბული “*istiare*” და თურქული წარმოშობის სიტყვა “*eğretileme*”. ბოლო წლების განმავლობაში თურქეთში მეტაფორასთან დაკავშირებული არაერთი ნაშრომი გამოიცა. მათ შორის უნდა აღინიშნოს: Nizamettin Uğur *Anlambilim* (ნიზამეთთინ უღურ, სემანტიკა); Lakoff and M. Johnson, *Metaphors We Live By* (თურქული გამოცემა/თარგმანი, 2005); Oğuz Cebeci, *Metafor ve Şiir Dilinin Yapısal Özellikleri* (ოღუზ ჯებეჯი, მეტაფორა და ლექსის სტრუქტურული მახასიათებლები, 2013); Fatih Tepebaşılı, *Metafor Yazıları* (ფათიჰ თეფებაშლი, მეტაფორული ტექსტები, 2013).

ულურ-ის მოსაზრებით მეტაფორა ნიშნავს რაიმეს სესხებას/გადმოღებას სხვა ვინმესგან/რალაცისგან. მეტაფორა არის ორს შორის მსგავსების შედეგი (Uğur, 2003: 85). მეტაფორული შედარებისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ასახავს თუ არა ის ნაწილი, რომლის შედარებაც ხდება მთავარ ობიექტთან, მის იმ თვისებას, რისი აღწერისათვისაც პირველია განკუთვნილი. ნაშრომში ჩვენ გამოვიყენეთ მეტაფორის ულურისეული განმარტება. მეტაფორა წარმოადგენს ფიგურატიული ცვლილების სახეს. აღნიშნული ლინგვისტური ფენომენი სულ უფრო ინტენსიურად გამოიყენება სემიოლოგიაში, ხელოვნებაში, კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ სფეროებში. მოცემულ კვლევაში ჩვენ შევისწავლით თანფინარის მიერ რომანებში მეტაფორული სტრუქტურების გამოყენებას ადამიანური სახეების გადმოცემის კონტექსტში. ჩვენ ასევე შევეცადეთ გამოგვევლინა ის ის მეთოდები, რომლებს მეშვეობითაც თანფინარი ახდენს ადამიანური სახეების ესთეტიზირებას სხვადასხვა მეტაფორული ტექნიკების მეშვეობით.

საკვლევი პრობლემა

თანფინარი თურქულ მწერლობაში გამორჩეულ ადგილს იკავებს თავისი ორიგინალური სტილით, განსაკუთრებით მისი რომანებით. მისი ნაწარმოებების მთავარი თემატიკაა ადამიანებს შორის ურთიერთობა და ასევე ურთიერთობა ადამიანებსა და საზოგადოებას შორის. მწერალი სწორედ ამ პარადიგმაზე აგებს თავისი ნაწარმოებების სიუჟეტებს. მისი არტისტული სტილის მთავარი საშუალება მისივე მხატვრული ენაა. მწერლის მხატვრული ენა მნიშვნელოვანწილად შედგება ფიგურატიული სტრუქტურებისგან. ენა, რომელიც აკავშირებს მოვლენებს ფიგურატიულ სტრუქტურებთან სხვადასხვა სემანტიკურ ბაზისებზე, მისი, როგორც მწერლის მთავარი მახასიათებელია.

თანფინარის მეტაფორული სტრუქტურების გამოვლენის კონტექსტში უნდა დაისვას შემდეგი სახის კითხვები:

1. როგორია თურქულ მწერლობაში სტილის ფორმირების ზოგადი სახეები?
2. რომლებია თანფინარის ნარაცის ჟანრების სტილისტური საფუძვლები?

3. თანფინარის რომანების ზოგადი სტილი.
4. თანფინარის დამოკიდებულება მისი პერიოდის რომანების წერის სტილებთან?
5. სოციალურ კლასებთან და სოციალურ რეალობასთან დაკავშირებული რეფლექსიები თანფინარის რომანებში.
6. ადამიანური მეტაფორების ფორმირება ზოგადად სტილის ფორმირების კონტექსტში.
7. ადამიანური მეტაფორების წარმოების კონტექსტში სემანტიკური ასპექტების გამოვლენა.
8. რა სახის ადამიანურ მეტაფორებს იყენებს თანფინარი, როგორც სტილისტურ საშუალებებს?
9. თანფინარის მიერ გამოყენებული ადამიანური მეტაფორების ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური გამოხატულებები.

კვლევის მიზანი

თანფინარის მიერ მის რომანებში გამოყენებული ადამიანური სახეების გამომხატველი მეტაფორების ფორმაციის სახეების, სტრუქტურებისა და მნიშვნელობების დადგენა და მათი კლასიფიცირება.

კვლევის საიხლე

თანფინარის მიერ თავის ნაწარმოებებში სტილის ფორმირების ფარგლებში სტილისტური საშუალებების სახით გამოყენებული ფიგურატიული სტრუქტურების (მეტაფორების) იდენტიფიცირება (ცხოველების, მცენარეების, თეოლოგიური და სხვა) ადამიანთა სახეების მეტაფორიზების კონტექსტში.

კვლევის მეთოდი

კვლევისას გამოვიყენეთ კვლევის თვისობრივი მეთოდი, ისევე როგორც ტექსტის ანალიზი (აღწერითი მეთოდი).

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

თურქეთსა და მის ფარგლებს გარეთ თანფინანსის შემოქმედებასთან დაკავშირებით დაიწერა ასობით ნაშრომი, თუმცა დღემდე არ ჩატარებულა რაიმე სახის კვლევა მწერლის მიერ ადამიანთა სახეების მეტაფორიზაციასთან დაკავშირებით.

თანფინანსიური ადამიანური სახეების მეტაფორული ფორმების იდენტიფიცირების შემდგომ შევისწავლით ადამიანის მწერლისეულ გაგებას.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

ტექსტის ანალიზის მეთოდის მეშვეობით თანფინანსის ნაწარმოებებში ადამიანური სახეების მეტაფორების შესწავლა.

კვლევის მასშტაბი და ლიმიტაციები

კვლევის ფარგლებში შესწავლილია მწერლის ხუთი რომანი: მაჰურ ბესთე, სიმშვიდე, სცენის გარეთ მყოფნი, საათების რეგულირების ინსტიტუტი, ქალი სარკეში. ჩვენ ვაანალიზებთ ხსენებულ რომანებში მოცემულ მეტაფორებს. კვლევის ლიმიტაციებს შეადგენს ხსენებულ რომანებში ადამიანური მეტაფორები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა: სტილის ფორმირება

მკითხვეისადმი შეთავაზებულ მხატვრულ ნაწარმოებს ახასიათებს სამი მთავარი ტექნიკა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: გამოხატვის ფორმა, ენა და სტილი. მხატვრული ტექსტის გადმოცემა უკავშირდება მხატვრული წერის ენას, ხოლო წერის ენა საფუძველს უდებს ტექსტის სტილისტურ მახასიათებლებს (Önal, 2008, s. 23).

ტერმინი “Ífade” არაბული წარმოშობისაა რომელიც ნიშნავს რაიმეს გამოხატვას, მტკიცებას, გამოთქმას (TDK, 2017). ყველა სულიერი და უსულო საგანი აღიქმება გრძნობის ხუთი ორგანოს მეშვეობით რომელსაც ადამიანი გარდაქმნის საკუთარ შინაგან სამყაროში და გამოსთქვამს მათ. როგორც წესი, ჩვენ მხატვრულ

ენას არ ვიყენებთ ყოველდღიურ საუბარში/ყოფაში. მხატვრული ენა გამოიყენება გრძნობების გამოსახატავად ზეპირად, ან წერილობითი სახით.

ამა თუ იმ ერის კულტურული ღირებულებების ახალგაზრდა თაობაზე გადაცემის უმოკლესი გზაა მათი წერილობითი სახით ლიტერატურის მეშვეობით გადაცემა. ახალგაზრდა მკითხველს სურვილის შემთხვევაში შეუძლია კარგად დაიჭიროს ასოციაციური ნიუანსები მხატვრულ ნაწარმოებში. წერილობითი გადმოცემა სხვა ტერმინებით ნიშნავს კულტურის ენას, მწერლობის ენას, ცივილიზაციის ენას, ოფიციალურ ენას, ლიტერატურულ ენას (Önal, 2008, s. 25). ლიტერატურული გამოხატვა ისეთი სახის ენაა, რომელიც არ შეიცავს ვულგარული ტიპის გამოთქმებსა და ტერმინებს (Olgun, 1936, s. 27). ყოველდღიური და აკადემიური ენებისგან განსხვავებით ლიტერატურის ენა იყენებს გამოხატვის განსხვავებულ საშუალებებსა და სტილებს. ლიტერატურული ენის დანიშნულებაა მწერლის გრძნობების/აზრების გადმოცემა და იმავდროულად იგი მიზნად ისახავს მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენას, ანიჭებს რა ამ უკანასკნელთ ესთეტიკურ სიამოვნებას. ლიტერატურულ ენასა და ყოველდღიურ სასაუბრო ენას შორის განსხვავება მდგომარეობს ლინგვისტური ტექნიკებისა და ფიგურატიული გამოთქმების გამოყენებაში. მაშინ, როდესაც სასაუბრო ენა იყენებს კონკრეტულ/ძირითად ტერმინებსა და ცნებებს, ლიტერატურული ენა მიმართავს აბსტრაქტულ ცნებებსა და ტერმინებს. შესაბამისად, ლიტერატურული ენის ლექსიკური მარაგი უფრო ფართოა ვიდრე ყოველდღიური სასაუბრო ენისა.

სხვადასხვა ავტორები ლიტერატურულ ენას განსხვავებული სახით იყენებენ, ეს კი ქმნის იმას, რასაც ამა თუ იმ ავტორის წერის სტილს უწოდებენ (Önal, 2015, s. 172). არისტოტელეს მიხედვით იმდენი სტილი არსებობს, რამდენიც ავტორი. არაბული წარმოშობის ტერმინ “üslup”-ის მნიშვნელობაა “გზა“, “მეთოდი“. თურქულ ენაში ტერმინი ეხმარება მოსაზრების, გამოხატვის, განვრცობის მნიშვნელობით, კონკრეტული ავტორის გადმოცემის კონკრეტულ ფორმას, სტილს, რომელიც კონკრეტული დორის პერიოდისთვისაა და დამახასიათებელი (TDK, 2017), გამოხატვის ესა თუ ის ფორმა, რომელიც ქმნის მხატვრული ნაწარმოების ძირითად მახასიათებელს და იქცევა მკითხველის ყურადღებას (Rifat, 2013, s. 227).

“ამა თუ იმ ავტორის მიერ საკუთარი იდეებისა და შთაბეჭდილებების გადმოცემის ორიგინალური ენობრივი მეთოდი, რაც განასხვავებს მათ სხვა ავტორებისაგან (Çetişli, 2008, s. 88).

“ამა თუ იმ მხატვრული ტექსტის დაწერის მოტივის გაგება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს იმავე ტექსტის სტილის შესწავლის გზაზე. ენა წარმოადგენს მხატვრული ტექსტის მთავარ მასალას. ტექსტის ანალიზი, შესაბამისად, უნდა ჩატარდეს ავტორის მიერ გამოყენებული ენის შესწავლის გზით. ამ მიზნით, ტექსტის ანალიზი იწყება ენის ანალიზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლევარი იძულებული იქნება ტექსტის ანალიზის საშუალებები ეძებოს თავად ტექსტის გარეთ“ (Gül, 2012, s. 420). სტილისტური მახასიათებლების მიხედვით სიტყვები იყოფა: კონცეპტუალური, მგრძნობელობითი, ფარისევლური და არაპირდაპირი, ტრივიალური და გაზვიადებული, კონკრეტული და არაზუსტი, მშვიდი და აღმაფრთოვანებელი, ვულგარული და ამაღლებული, მარტივი და სიტყვაკაზმული. სიტყვებსა და მთელ ლინგვისტურ სისტემას შორის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით კი სიტყვები იყოფა: სასაუბრო და წერილობით, კლიშე და ინდივიდუალური ტიპებად. ბოლოს კი, სიტყვები შეიძლება დაიყოს სუბიექტურ და ობიექტურ ტიპებად, ავტორის მიერ მათი გამოყენების ფორმის მიხედვით (Wellek & Warren, 2013, p. 205). ავტორი თავად ქმნის წერის საკუთარ სტილს. არსებობენ იმდენი სტილები წერისა, რამდენიც ავტორები.

მეტაფორა, როგორც სტილის შექმნის საშუალება მხატვრულ ტექსტში

ტერმინი მეტაფორა ხშირად გამოიყენება თურქულ ენაში, თუმცა დღემდე არ ასრებობ კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ ტერმინის რომელი მნიშვნელობა უნდა იქნას დამკვიდრებული სასაუბრო ენაში. ზოგადად, თურქული და არაბული წარმოშობის ტერმინები eğretileme და istiare უფრო ხშირად მოიხმარება, ვიდრე ტერმინი მეტაფორა.

ძველ ბერძნულში ტერმინი გამოიყენებოდა ფორმით “metapherein”, დღეს კი გამოიყენება ფორმით “metaphore”. ტერმინი აღნიშნავს კოგნიტურ-ლინგვისტურ პროცესს, რომლის დროსაც ერთი რამის გამოხატვა ხდება მეორის მეშვეობით. ის,

რისი მეშვეობითაც გადმოიცემა პირველი რამ, ხშირად აღიქმება როგორც თავად ის მოვლენა/საგანი/არსი, რასაც მისი მეშვეობით აღნიშნავენ ხოლმე (Cebeci, 2013, s. 9-10). “მეტაფორის არსს წარმოადგენს ერთი რამის მეშვეობით მეორე რამის აღქმა-გადმოცემა“ (Lakoff & Johnson, 2005, s. 27).

ტერმინი მეტაფორა თურქულში შინარსობრივად გადმოიცემა სიტყვით “mecaz”. ტერმინ მეტაფორის თურქული შესატყვისებია “eğretileme”, “istiare”. მეტაფორული გადმოცემა ისეთი სახის გადმოცემაა, რომლის დროსაც ერთი რამე გამოიხატება სხვა რაიმეს საშუალებით“ (TDK, 2017). თურქულ ენაში ტერმინები *istiare* და *eğretileme* გამოიყენება როგორც ერთმანეთის სინონიმები, ხოლო ტერმინ მეტაფორას კი სხვა მნიშვნელობა გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ტერმინს დაახლოებით იდენტური მნიშვნელობები გააჩნია, ტერმინი მეტაფორა გარკვეული მნიშვნელობით განსხვავდება პირველი ორისგან.

ჰარმანჯი-ს მოსაზრებით, თურქეთში ენობრივი რეფორმის შემდგომ პერიოდში პირველად ტერმინის თურქული ვარიანტი “eğretileme” არაბული “istiare”-ს ნაცვლად გამოიყენა ნურრულაჰ ათაჩ-მა. ტერმინ *istiare*-ს არაბული წარმოშობის მიუხედავად ოსმალურ თურქულში იგი დიდი ხნის მანძილზე გამოიყენებოდა. შესაბამისად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ორივე ტერმინი (*Istiare-İğreti*) სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენებოდა

“სიტყვა *istiare* გამოიყენებოდა ისლამური ცივილიზაციის გავრცელების ფართო არეალში, თურქეთის ჩათვლით, რომელიც მოგვიანებით ჩანაცვლეს თურქული წარმოშობის სიტყვა *eğretileme*-თი 1940-იანი წლებიდან მოყოლებული, თუმცა მისი მნიშვნელობა იგივე იყო, რაც არაბული ტერმინისა (Harmancı, 2012, s. 46).

ჰარმანჯი-ს მოსაზრებით ტერმინი *istiare* უფრო შესაფერისად გამოხატავდა ტერმინის აზრს, მაშინ როდესაც ონალ-ი ამტკიცებდა, რომ არაბული წარმოშობის ამ ტერმინმა დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და თურქულ ენაში ერთგვარად გაუცხოვდა.

მეტაფორის წარმოების ხელოვნება იქ იჩენს თავს, სადაც ერთმანეთს კვეთენ აბსტრაქტული და კონკრეტული ფენომენები. ტერმინ *istiare*-ს თანამედროვე თურქულში გამოყენება მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი კლასიკური მნიშვნელობისაგან. აქედან გამომდინარე მისი თავდაპირველი მნიშვნელობა ღრმად უნდა იქნას შესწავლილი მისი გამოყენებისას შეცდომების თავიდან აცილების მიზნით“ (Önal, 2015, s. 264).

“ტერმინები *istiarede/eğretileme* უნდა ფლობდნენ შემდეგ მახასიათებლებს: 1) მეტაფორის სახით გამოყენებული სიტყვის მეშვეობით სხვა რაიმე ცნების გამოხატვა, 2) თავის ორიგინალური მნიშვნელობით მეტაფორული ტერმინის გამოყენების შეუძლებლობა, 3) მეტაფორის სახით გამოყენებული ტერმინის ასოციაციური ფუნქცია“ (Macit & Soldan, 2013, s. 65-66).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინებს *eğretileme/istiare* და მეტაფორას გააჩნიათ საერთო მახასიათებლები თუმცა ისინი მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი მნიშვნელობებით. თურქული *eğretileme* ნიშნავს “სესხებას, გადმოღებას“, მეტაფორის მნიშვნელობა კი არის ერთი რამის სხვა ადგილზე გადატანა. ჰარმანჯი ამ ლინგვისტურ მოვლენას შემდეგი სახით გადმოგვცემს: “როდესაც პირი თავისი მეზობლისგან მანქანას თხოულობს, გამოყენების შემდეგ უკან უბრუნებს მეზობელს მას. როდესაც ხის ნერგს იღებს მეზობლის ეზოდან და გადარგავს საკუთარ ეზოში, ის ნერგი უკვე მასვე ეკუთვნის და არა მის მის მეზობელს“ (Harmancı, 2012, s. 48-49).

მოცემული თავის მიზანია მეტაფორის როლისა და ადგილის გამოვლენა თანფინარის რომანებში, როგორც სტილისტური ელემენტებისა.

სტილის ზოგადი მახასიათებლები, როგორცაა სიცხადე, ბუნებრიობა, ჰარმონიულობა, კონსენსუსი, ადმატებულობა და მრავალფეროვნება - განხილულია და დაკავშირებულია მეტაფორის ცნებასთან. ამასთანავე, განხილულია სტილისტური აღქმა რიტორიკის ჟანრის კონტექსტში.

I. კონცეპტუალური ჩარჩო: აჰმეთ ჰამდი თანფინარის რომანების სტილის წყაროები

თანფინარის რომანების სწორად აღსაქმელად მკითხველი უნდა ფლობდეს ცოდნას თურქულ და სხვა კულტურებზე. თავის ნაწარმოებებში თანფინარი ბევრს საუბრობს არქიტექტურაზე, ხელოვნებაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, პეიზაჟებზე, ქანდაკებებზე და შესაბამისად, მკითხველი მეტნაკლებად უნდა იცნობდეს ხელოვნების ამ დარგებს. მწერალი მკითხველს აწვდის ცნობებს სხვადასხვა კულტურულ პრაქტიკებზე. მკითხველი, რომელიც თანფინარის რომანებს კითხულობს, ვითარდება როგორც კულტურულად, ისევე სოციოლოგიური თვალთახედვის კუთხიდანაც. მაგალითად, რომანში სიმშვიდე თანფინარი განიხილავს ეგზისტენციალურ პრობლემატიკას, საუბრობს რა სიცოცხლესა და სიკვდილზე. მისი რომანის გმირები ხშირად საუბრობენ ფილოსოფიაზე, პოლიტიკაზე და ა.შ. თანფინარს უწოდებენ “კულტურულ რომანისტს”. თანფინარი ხსენებული თემატიკის განვრცობით მკითხველს რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემებს აჩვენებს, სთავაზობს რა მათ თავისებურ მიმართულებას. “მწერალი პოულობს მკითხველის ისეთ სეგმენტს, რომელსაც კარგად ესმის მისი ნაწარმოებებისა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკითხველი შეიძლება ბოლომდე ვერ ჩაწვდეს მის არტისტულ სტილს. მწერლის სახელი ასოცირდება განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში და მას თავისი ნიშა აქვს. თუკი რომელიმე მკითხველი ვერ აღიქვამს თანფინარის პოეზიას, მაშინ მის რომანებში ნახულობს დიდ ინტერესს, რომანებმა თუ ვინმე არ დააინტერესა, მათ მისი მოთხრობები იზიდავს“ (Dizdaroğlu, 2008, s. 116).

თანფინარის მოსაზრებით ნებისმიერი რომანი სამ ძირითად ასპექტს ეყრდნობა: მოვლენები, პიროვნებები და სტილი. მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები ამა თუ იმ რომანის სიუჟეტის შექმნისას არცთუ ისე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა თანფინარისთვის მოვლენებს უმთავრესი დატვირთვა გააჩნიათ (Törenek, 2012, s. 3). დროდადრო თანფინარი ხსენებულ ასპექტებს ამატებს “იდეის” კომპონენტს და მიიჩნევს მას პირველ სამზე უფრო მნიშვნელოვნად. თანფინარის რომანების ანალიზისას ადვილად შესამჩნევია

მწერლის გადმოცემის უჩვეულო მანერა, მის მიერ დინამიური სახეების დახატვის თავისებურება. რადგანაც თანფინარი ძირითადად გრძნობის ხუთ ორგანოს მიმართავს მხატვრული გადმოცემისას, იგი იყენებს საკუთარი წარმოსახვის უნარს იმისთვის, რომ შთაბეჭდილება მახდინოს მკითხველზე. თანფინარი საკუთარი წარმოსახვის უნარით ცდილობს ერთგვარად უარყოს ყოველდღიურობა და ამისათვის მიმართავს ობიექტური რეალობის სუბლიმაციის ლინგვისტურ ტექნიკას. სწორედ ამიტომაც, თანფინარის გმირებს უჭირთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ რუტინასთან გამკლავება (Şahin, 2015, s. 393).

თანფინარისეული გონი, რომელსაც არ მოსწონს ყოველდღიურობა, მიმართავს უნივერსალურ მითოლოგიურ თემატიკას, არქეტიპულ სიმბოლიკას რომელიც წარმოაჩენს ადამიანის ზოგად არაცნობიერ სამყაროს. “ზუნება, ქალაქები, არქიტექტურა, მუსიკა, მხატვრობა შეადგენს თანფინარის ლიტერატურულ საფუძველს და ქმნიან მის შედეგებს“ (Taner, 2012, s. 50).

მანამ, სანამ თანფინარი თავის რომანებს გამოაქვეყნებდა, მან შეისწავლა რომანის წერის ტექნიკა. მან თავისი მოსაზრებები სამეცნიერო ნაშრომებში გადმოსცა. იგი მის თანამედროვე რომანისტებს სამი მიმართულებით აკრიტიკებს: “1. თურქი რომანისტები არ ასახავენ თურქული კულტურული სივრცის ყოველდღიურობას თავიანთ ნაშრომებში, 2. ისინი განიცდიან დასავლური ლიტერატურის მნიშვნელოვან გავლენას, 3. ისინი არ არიან გულწრფელნი თავიანთ ნაწარმოებებში“ (Tanpınar, 2014a, s. 48). თანფინარისთვის რომანის წერა უკვდავების მიღწევის ერთგვარი საშუალებაა. ამიტომ მან დაწერა რომანები ისეთი ფორმით, რომელმაც გაუსწრო მის თანამედროვეობას. ლიტერატურულმა წრეებმა თანფინარის დიდ მწერლად აღიარება 1972 წლიდან მოყოლებული დაიწყო. თანფინარმა, რომელიც ზემეტად იყო დამოკიდებული მის წერის სტილზე, შექმნა ისეთი სახის ენა/გადმოცემის სტილი, რომელიც რთული აღმოჩნდა მკითხველისათვის. როგორც მწერალი იგი ერთგვარად ჩამორჩა თანამედროვე თურქი მკითხველის მიერ მწერლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (1976).

თანფინარი შეეცადა ისეთი ენის შექმნას, რომელსაც შეეძლებოდა მისი დროის სულის გადმოცემა (Kaplan, 2001, s. 103-104). მწერალმა თავისი აზრების იდეალიზების მიზნით შექმნა თავისთვის დამახასიათებელი ენა. მისმა სუბლიმაციებმა მოახდინეს მისი თანამედროვე თურქული ენის ტრანსცენდენტირება. მწერალი სათქმელის უკეთ გადმოსაცემად იყენებდა სხვადასხვა სიმბოლოებს და მეტაფორებს. მისი ნაწარმოებების წაკითხვა და აღქმა მოითხოვს თურქული ენის საკმაოდ კარგ ცოდნას. სწორედ ამიტომ აღნიშნა თავად თანფინარმა, რომ მის რომანებს მომავალში უკეთ გაიგებდნენ. მან შექმნა ორიგინალური სტილი რომელიც მას სხვა თურქი მწერლებისგან განასხვავებს. მწერლის მხატვრული სტილი თავიდანვე არ ხდება მკითხველისთვის საცნაური. რიგმა კრიტიკოსებმა თანფინარის ლექსები და რომანები “უაზროდაც“ კი მონათლეს. მკითხველებს და კრიტიკოსებს გაუჭირდათ მისი სიმბოლური ენის გაგება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თანფინარმა სიმბოლოებს პერსონალური მნიშვნელობები მიანიჭა. თანფინარის სახეები ისეთი სახეებია, რომლებსაც შეუძლიათ ტრანსფორმირდნენ მეტაფორებად და სიმბოლოებად (Şahin, 2012, s. 9).

სიცოცხლეში თანფინარმა მხოლოდ ორი რომანი გამოაქვეყნა - სიმშვიდე და საათების რეგულირების ინსტიტუტი. “მწერლის გარდაცვალების შემდეგ მისი დანარჩენი რომანების დაიბეჭდა და მკითხველმაც დაიწყო მისი სათანადოდ შეფასება“ (İleri, 2015, s. 348).”

მოცემულ თავში ჩვენ შევისწავლით ის ფასპექტებს, რამაც ხელი შეუწყო თანფინარის მხატვრული სტილის ჩამოყალიბებას. გამოვიკვლევთ აგრეთვე მწერლის წერის სტილს. მწერლის ნაშრომებს ვყოფთ სამ ძირითად თემატიკად: პიროვნული, ეროვნული და კლასობრივი. დავადგენთ, რომ მწერის მისეული სტილი წარმოადგენს პიროვნულ სტილს.

კლასობრივი თემატიკა თანფინარის რომანებში ნაკლებად გვხვდება. მისი ნაწარმოებების პერსონაჟები განათლებული, დასავლური ყაიდის ინდივიდები არიან რომლებიც კარგად იცნობენ დასავლურ და აღმოსავლურ მწერლობებს.

თავი II. მეთოდოლოგია

3.1. კვლევის მეთოდოლოგია

თვისობრივ კვლევას საფუძველი ჩაედო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში სოციალური მეცნიერებების ფარგლებში. ამ ტიპის პირველი კვლევები ჩატარდა ანთროპოლოგიასა და სოციალურ სფეროებში, განსაკუთრებით ადამიანთა საზოგადოებრივი და კულტურული ყოფის ბუნებრივ გარემოებში შესწავლისას (Yıldırım, 2010, s. 80).

“თვისობრივი კვლევის ძირითადი ფენომენოლოგიური პარადიგმაა ის დებულება, რომ სოციალურ სფეროში არსებობს მრავალი ობიექტური მოცემულობა, რომლებიც სათითაოდ საჭიროებენ შესწავლას“ (Başbüyük, Durna, Büker, & vd., 2009, s. 275). თვისობრივი კვლევა არ იძლევა კონკრეტულ შედეგებს, თუმცა მისი შედეგები მიიღება შესასწავლი საკითხების ღრმა ანალიზის მეშვეობით. თვისობრივი კვლევის ინდუქციური მიდგომა გულისხმობს შესწავლილი საკითხების ინტენსიურ ინტერპრეტირებას.

კვლევის მეთოდის განსაზღვრა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად კვლევის საკითხის დადგენა და იგი წარმოადგენს კვლევის სამეცნიერო შეფასების სტანდარტს (Ece, 2007, s. 13). ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩვენ ავირჩიეთ ტექსტის ანალიზის მეთოდი. რა შესაძლო სარგებელს მოგვითმის მეტაფორის ცნების შესწავლისას ტექსტის ანალიზის მეთოდის გამოყენება? 1. მწერლის კოგნიტური თავისებურებები, რომლებიც შეესაბამება ან არ შეესაბამება მის საზოგადოებას/კულტურას. 2. როგორ ასახავენ მწერლის მიერ შექმნილი მეტაფორები მისვე მსოფლმხედველობას და რამდენად ახდენენ ისინი (მეტაფორები) მკითხველთა მიმართვას კითხვებზე პასუხების პოვნის მხრივ? (Şahan, 2014, s. 72).

ძველი ტიპის მხატვრულ ტექსტებში მკვლევარები ავლენდნენ ავტორების მიერ შექმნილ ლინგვისტურ სტრუქტურებს და მხატვრულ ჟანრებს. თანფინარის მისწავლე მეჰმეთ ქაფლან-მა აირჩია ტექსტის ანალიზის ახალი მეთოდი. “აღნიშნული მეთოდის მეშვეობით ქაფლანმა ჩამოაყალიბა ახალი მიდგომა

თურქული ლიტერატურის კვლევის სფეროში“ (Özer, Aytan, & Güney, 2013, s. 244). ხსენებული მიდგომის მიზანია მხატვრული ტექსტის უშუალო კონტენტის ანალიზი ავტორის არაცნობიერთან მიმართებაში. ჩვენც იგივე მეთოდი ავირჩიეთ თანფინარის არტისტულ წარმოსახვაში ადამიანური მეტაფორების როლის დადგენის მიზნით.

კვლევის მიგნებების ნაწილში ჩვენ ვიყენებთ რაოდენობრივ მონაცემებს. მიუხედავდ იმისა, რომ ციფრებს იყენებენ ძირითადად რაოდენობრივ კვლევებში, თვისობრივი კვლევის შედეგებიც ასევე შეიძლება გარკვეულწილად დაყვანილ იქნას რიცხვებზე (Yıldırım & Şimşek , 2013, s. 274). ბოლოს წლების განმავლობაში ერთობ პოპულარული გახდა შერეული მეთოდის გამოყენება კვლევისას. ხსენებული მეთოდი მოიცავს დივესიფიკაციას, ინტეგრაციას, განვცრობას (Yıldırım & Şimşek , 2013, s. 351-353).

როგორც ილდირიმი აღნიშნავს, ტექსტის ანალიზის ფარგლებში მონაცემები ორი გზით შეიძლება იქნას მოპოვებული: უშუალოდ პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა და ლექსიკური ერთეულების გამოყენების ინტენსიობის გამოთვლა მხატვრულ ტექსტში. მკვლევარი აგრეთვე აღნიშნავს, რომ თვისობრივი მეთოდი მხატვრული ტექსტის ანალიზში უმჯობესია და რომ მისთვის საჭიროა სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, თუმცადა, თურქეთში ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის განვითარებული ასეთი ტიპის პროგრამები (1999, s. 8).

3.2. სემფლინგი

მეტაფორების სემფლინგი წარმოადგენს მოცემული ნაშრომის სემფლინგს. მეტაფორები, როგორც ფიგურატიული მეტყველების პატერნები უფრო მეტად გვხვდება პოეზიაში, ვიდრე პროზაში, თუმცა, თანფინარის პოეტის იდენტობამ გავლენა მოახდინა რომანის წერის მისეულ სტილზე, ამასთანავე, იგი თავის რომანებში პოეტურ ენასაც იყენებდა. მეტაფორებს თანფინარი განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებს მის ხუთ რომანში: მაჰურ ბესთე - 2014, სიმშვიდე - 2014, სცენის გარეთ მყოფნი - 2013, საათების რეგულირების ინსტიტუტი - 2014, ქალი

სარკეში - 2009 - ყველა ჩამოთვლილი ნაწარმოები შესწავლილ იქნა მეტაფორების გამოყენების კუთხით.

3.3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

კვლევის ფარგლებში ჩვენ გამოვავლინეთ მეტაფორები ზემოთ ხსენებულ ნაწარმოებებში. ჩვენ ვიყენებთ მეტაფორის ჯორჯ ლაკოფისა და მარკ ჯონსონისეულ განმარტებას (*Metaphors We Live By*), ასევე, ნიზამეთთინ ულურ-ის ნაშრომს დასახელებით *სემანტიკა - სიტყვათა მნიშვნელობა*. ჩვენ აგრეთვე ვიყენებთ სხვა ავტორების ნაშრომებსაც: ოლუზ ჯებეჯის *მეტაფორა და პოეტური ენის სტრუქტურული თავისებურება*.

პირველ რიგში ჩვენ განვიხილავთ თანფინარის ნაშრომებში ადამიანურ მეტაფორებს ნიზამეთთინ ულურ-ის ცხრამეტი მეტაფორული სტრუქტურის მიხედვით. მოვახდინეთ ადამიანური მეტაფორების ინტერპრეტირება Microsoft Office-Excel-ის პროგრამის გამოყენებით ჩვენი ნაშრომის დასკვნით ნაწილში. მეტაფორები დაყოფილია ცხრა კატეგორიად და ჩასმულია შესაბამის სვეტებში. პირველ კატეგორიაში ჩავსვით თანფინარის მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული მეტაფორები, მეორეში - გენდერული ნიშნით იდენტიფიცირებული მეტაფორები, მესამესა და მეოთხეში - კაცური და ქალური მახასიათებლების მეტაფორები, მეხუთე - ბავშვთა მეტაფორები, მეექვსე - ადამიანურ ორგანოთა/სხეულის ნაწილთა მეტაფორები, დანარჩენი სამი კი - ცხოველების, მცენარეებისა და თეოლოგიური მეტაფორები.

თავი IV. მიგნებები და ინტერპრეტაციები

ჩვენ მოვახდინეთ მეტაფორების ცხრა კატეგორიის იდენტიფიცირება ნიზამეთთინ ულურის ჩვიდმეტ კომპონენტიათა კლასიფიკაციის ფარგლებში. ესენია ქვე-კატეგორიები: ორდინალური მეტაფორები, ნომინალისტური მეტაფორები, მოძრაობის მეტაფორები, პრეფერენციული მეტაფორები, აპოლოგეტიკური მეტაფორები, უპირატესობის მეტაფორები, სინქრონიზაციის მეტაფორები, რედუქციული მეტაფორები და მარტივი მეტაფორები.

მეტაფორები, რომლებიც თანფინარის რომანებში არ გვხვდება, არის: ერთობის მეტაფორები, კონვენციური მეტაფორები, შესატყვისი მეტაფორები, წინააღმდეგობრივი მეტაფორები, სრული მეტაფორები, განმტკიცების მეტაფორები, ხშირად ხმარებული მეტაფორები, სარკასტული მეტაფორები და ფიგურატიული მეტაფორები.

მეორე თავში ავლნიშნავთ, რომ თანფინარი უფრო ხშირად იყენებს არსებით სახელებს მეტყველების სხვა წევრებთან შედარებით. იგივე შეიძლება ითქვას მეტაფორებთან მიმართებაშიც. ჩვენს მიერ გამოვლენილი 156 ნომინალური მეტაფორა შეადგენს მეტაფორების სრული ოდენობის 61.74 %-ს. ნომინალურ მეტაფორებს მოსდევს რედუქციული მეტაფორები: 13.25 % სრული რაოდენობისა, ანუ ჯამში 31 მეტაფორა. აპოლოგეტიკური მეტაფორები შეადგენს სრული ოდენობის 9.48 %-ს, სულ 24 მეტაფორა. პრეფენციული მეტაფორები შეადგენს სრული ოდენობის 7.50 %-ს, სულ 19 მეტაფორა. მარტივი მეტაფორები შეადგენს სრული ოდენობის 2.8 %-ს, სულ 7 მეტაფორა. მოძრაობისა და სინქრონიზაციის მეტაფორები: სულ 5 ერთეული, ანუ 1.97 %. უპირატესობისმეტაფორები: სულ 3 ერთეული, ანუ 1.21 %. 1 ერთეული მარტივი მეტაფორა, ანუ სრული ოდენობის 0.39 %.

რადგანაც თანფინარი ახდენს ქალურ და კაცურ მეტაფორებს შორის მკვეთრ განსხვავებას, უფრო ინტენსიურადაა წარმოდგენილი ქალური მეტაფორები. 249 ერთეული მეტაფორიდან 137 ქალური მეტაფორაა, 88 - მამაკაცის ამსახველი, ხოლო დანარჩენი 24 მეტაფორა წარმოადგენს ადამიანური მდგომარეობების განზოგადებას.

თანფინარის რომანების სახებიდან ყველაზე ხშირად ხდება ნურან-ის მეტაფორიზაცია. რომან სიმშვიდეში ნურანზე გენერირებულია ქალური მეტაფორების 43 %. დარჩენილი 75 % გადანაწილებულია: ათიე, საბიჰა, აიშე, ფაქიზე, ლეილა, მარიე, მაჯიდე, ნერგის, ადილე ჰანიმ, სექინე ჰანიმ, სადიე ჰანიმ, შიფა სექინე, ნეზიჰე, საბრიე, ფათმა და იჯლალ.

მამაკაცური მეტაფორები თანფინარის რომანებში განსხვავებული სიხშირითაა წარმოდგენილი. ყველაზე ხშირადაა მეტაფორიზებული მუშთაზი - 20 %, სუათი - 12 %, ჰაირი ირდალ და მოლლა ბეის სიძე ჰალით ბეი - 9 %, სელიმ და ბაჰჩეთ ბეი - 8 %, ალი ეფენდი - 6 %, ათა მოლლა - 5 %, მოლლა ბეი - 3 %, ასიმ, იაშარ, საბიჰ, ჯემალ ბეი - 2 %, ნური ბეი, საბრი ბეი, ადნან ბეი, მუჰთარ, იჰსან და თევფიქ - 2 %.

249 ადამიანური მეტაფორიდან 9 ბავშვთა მეტაფორაა. 3 მეტაფორა წარმოადგენს ბავშვის შინაგანის სამყაროს მეტაფორას. რომან სიმშვიდის მთავარი პერსონაჟი საბიჰა 59 %-ითაა მეტაფორიზებული. საბიჰას მეტაფორიზებისას თანფინარი მიმართავს სხვადასხვა ხერხს. როდესაც საბიჰა ხიდან ჩამოვარდა, ავტორი მას სახავს როგორც ავადმყოფ ცხოველს, სახიფათო ცხოველს, მაშინ როდესაც ნორმალურ მდგომარეობაში იგი აღწერილია როგორც სახლის კეთილი ჯადოქარი, მე-18 საუკუნის მონარქი და სხვა მსგავსნი.

249 მეტაფორიდან 32 წარმოადგენს ამა თუ იმ ადამიანური ორგანოს/ნაწილის მეტაფორას. მწერალი ხშირად იყენებს თვალის/ხედვის მეტაფორას თავის რომანებში. მწერალი ახდენს ადამიანის სხეულის ნაწილების მეტაფორიზებას. ესენია: სახე, ბგერები, ღიმილი, სუნთქვა, თმები, კანის ფერი, მთლიანად ორგანიზმი და მისი შიგთავსი. რომანში *სიმშვიდე* მხოლოდ ერთი მეტაფორა აღნიშნავს მამაკაცის პერსონაჟ სუათ-ა, დანარჩენი მეტაფორები კი ქალთა სახეების მეტაფორებია.

67 მეტაფორა წარმოადგენს ზოომორფულ მეტაფორას. 11 მეტაფორის შემთხვევაში არაა დაზუსტებული ცხოველთა ის სახეობა, რომელთაც ხსენებული მეტაფორები ასახავენ. 6 მათგანი გულისხმობს გარკვეულ ცხოველურ თვისებებს, ხოლო 5 მათგანში ნათლადაა გაზგასმული ცხოველთა სახეობა, რომლებსაც ისინი ასახავენ. ეს ცხოველთა ტიპებია: ცოფიანი ცხოველი, ავადმყოფი ცხოველი, გააფთრებული ცხოველი, მითიური ცხოველი და სახიფათო მდედრი.

ადამიანური მეტაფორების ნაწილი ნაწარმოებია მცენარეთა სახელებისგან. ჩვენ გამოვკვეთეთ ამ ტიპის 25 მეტაფორა. ისინი თავიანთი კატეგორიის 25 %-ს შეადგენენ.

მწერალი ადამიანის სახეებს სამი მცენარის მეშვეობით გამოხატავს. კაცი პერსონაჟები ნაძვის ხის სახითაა მეტაფორიზებული. სხვა სახეობის ხეების მეშვეობით კი ახდენს ქალი პერსონაჟების მეტაფორიზებას.

დროდადრო ადამიანური სახეების მეტაფორიზებისთვის მწერალი მიმართავს თეოლოგიურ ასპექტებსაც. 12 მეტაფორა წარმოადგენს თეოლოგიური შინაარსის მეტაფორას. მაგალითად, ადამიანები დახატულია, როგორც არასრული, ნაკლული არსებები, ქალები როგორც ანგელოზები, მუმთაზი კი მღვდელმთავარი, სადიე როგორც ღვთისმშობელი მარიამი.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნა

მოცემული კვლევის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ ოასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე: როგორ ხდება მეტაფორების გენერირება? რა ფაქტორები ქმნიან ამა თუ იმ ავტორის წერის სტილს? როგორ გაიგება სტილი პროზასა და პოეზიაში? როგორ უნდა იქნა შესწავლილი სტილი? რეებია მხატვრული ტექსტის სტილისტური საშუალებები და რა არის მეტაფორების როლი ფიგურატიული სტრუქტურების ფარგლებში?

მხატვრული ტექსტის შექმნისას თანფინარი მიმართავს სამ მნიშვნელოვან ასპექტს. ესენია: გადმოცემა, მხატვრული ენა და სტილი. გადმოცემის მხრივ მწერალი მიმართავს აღქმის ხუთ ორგანოს რათა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველში. მკითხველის წარმოსახვის უნარის გასააქტიურებლად იგი მრავლად იყენებს ფიგურატიულ გამოთქმებს. იგი ერიდება ვულგარული გამოთქმებისა და სიტყვების გამოყენებას. მისი პერსონაჟები განათლებული, კარგად აღზრდილი ინდივიდები არიან. თანფინარის მიერ გამოყენებული მაღალგანვითარებული ენა განასხვავებს მას სხვა თურქი რომანისტებისგან.

თანფინარი თავის რომანებში განსხვავებული ტიპის მეტაფორებს იყენებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანური მეტაფორები. მათი კლასიფიცირება შემდეგი სახით შეიძლება:

რომანი *სიმშვიდე*: 88 ნომინალისტური, 12 ექსკლუზიური და 7 მარტივი - სულ 107 მეტაფორა.

რომანი *ქალი სარკეში*: 42 ადამიანური მეტაფორა, მათგან 20 ნომინალისტური, 11 რედუქციული, 9 აპოლოგეტიკური, 7 ექსკლუზიური, 4 მასინქრონიზებული.

რომანი *მაჰურ ბესთე*: 19 ნომინალისტური, 8 აპოლოგეტიკური, 4 ინდუქციური, 1 უპირატესობის, 1 მარტივი და 1 მასინქრონიზებული, სულ 38 ადამიანური მეტაფორა.

რომანი *ქალი სარკეში*: 15 ნომინალისტური, 10 ინდუქციური, 5 აპოლოგეტიკური, 1 მოქმედების მეტაფორა.

რომანი *საათების რეგულირების ინსტიტუტი* შეიცავს მეტაფორების ყველაზე მცირე რაოდენობას: 14 ნომინალისტური, 6 ინდუქციური, 2 აპოლოგეტიკური და 2 უპირატესობის მეტაფორა.

რაც შეეხება მეტაფორების დაყოფას გენდერული ნიშნის მიხედვით, ქალთა მეტაფორები უფრო ხშირად გვხვდება ვიდრე კაცებისა: 137 ქალთა სახეების მეტაფორა, 88 კაცთა სახეების მეტაფორა.

ყველაზე ხშირად მეტაფორიზებული პერსონაჟია ნურანი რომანიდან *სიმშვიდე*. მეტაფორიზების სიხშირით მას მოყვებიან: ათიე, საბიჰა, აიშე, ფაქიზე, ლეილა, მარიე, სელმა, მაჯიდე, ნერგის, ადილე ჰანიმ, სექინე ჰანიმ, სადიე ჰანიმ, შიფა, ნეზიჰე, საბრიე, ფათმა და იჯლალ.

მთავარი მამაკაცური პერსონაჟია მუმთაზი. მასთან ასოცირებული სხვა პერსონაჟებია: სუათ, ჰაირი, ირდალ, ჰალით ბეი, სელიმ, ბაჰჰეთ ბეი, ალი ეფენდი, ათა მოლლა, მოლლა ბეი, ასიმ, იაშარ, საბიჰ, ჯემალ ბეი, ნური ბეი, საბრი ბეი, ადნან ბეი, მუჰთარ, იჰსან და თევფიქ ბეი.

თანფინარის ნაწარმოებებში სულ 9 ბავშვის მეტაფორაა წარმოდგენილი. თანფინარის გმირები როგორც წესი დაუოჯახებლები არიან. ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ თავად ავტორიც დაუოჯახებელი იყო.

მეტაფორათაგან 32 წარმოადგენს ადამიანის სხეულის ნაწილების/ორგანოების მეტაფორიზებულ ვარიანტებს. ესენია: სახე, ხმა, სუნთქვა, თმები, კანის ფერი, მთლიანად სხეული და მისი შიგთავსი. როგორც დადგინდა, ამ ტიპის მეტაფორები არ გამოიყენება კაცთა სახეების მეტაფორიზებისათვის.

თანფინარი ახდენს შემდეგი ცხოველების მეტაფორიზებას თავის რომანებში: ობობა, ლომი, ჩიტი, ცხენი, მამალი, კატა, ნიანგი, მწერი, თუთიყუში, გველი, წურბელა, ბუ, ბულდოგი, შიმპანზე, ჩრჩილი, ქამელეონი, ფარშევანგი, მელა, ბუზი, ბელურა, შევარდენი, ბაყაყი, ხარი და არწივი.

12 მეტაფორა წარმოადგენს თეოლოგიური შინაარსის მეტაფორას. მაგალითად, ადამიანები დახატულია, როგორც არასრული, ნაკლული არსებები, ქალები როგორც ანგელოზები, მუშთაზი კი მღვდელმთავარი, სადიე როგორც ღვთისმშობელი მარიამი.

რეკომენდაციები

- მოცემული კვლევა შეიძლება დაეხმაროს მკვლევარებს თანფინარი მეტაფორული სტრუქტურების წყაროების დადგენასა და ანალიზში.
- ქალური/კაცური მეტაფორების ანალიზის შედეგად თანფინარის ქალი-კაცი დიხოტომიის სემანტიკური საფუძვლის გამოკვლევა.
-
- თანფინარის მეტაფორული სტრუქტურების მის სხვა ფიგურატიულ წარმონაქმნებთან შედარება და მათი ზოგადად თურქულ ფიგურატიულ ენაზე გავლენის დადგენა
- თანფინარის რომანებში წარმოდგენილი მეტაფორების მისივე პოეზიაში წარმოდგენილ მეტაფორებთან შედარება
- თანფინარის მეტაფორების სემანტიკური შესაბამისობები

- თანფინარის ზოომორფული მეტაფორების ცულტურული რეფერენსების შესწავლა
- თანფინარის პოეზიაში მეტაფორების იდენტიფიცირება-შესწავლა
- თანფინარის რომანებში წარმოდგენილი მეტაფორების ერთმანეთთან შედარება
- თანფინარის ადამიანური მეტაფორების შედარება დასავლელი და აღმოსავლელი ავტორების მეტაფორებთან მათი წარმომავლობის დადგენის მიზნით
- თანფინარის მეტაფორების ანალიზი ლაკოფისა და ჯონსონის ონტოლოგიური მეტაფორების კლასიფიკაციის მიხედვით
- ფერების, საკვების, მუსიკისა და ინსტრუმენტების მეტაფორული შესატყვისობების გამოვლენა.

პუბლიკაციების ჩამონათვალი

1. Atis, Sinem (2018). The Universe of Meaning of The Time Metaphors in Tanpinar's Novel, A Mind at Peace (Huzur), *Journal of Humanities*, Vol. 6, No 2.
2. Kamal, Aysel, Atiş, Sinem (2017). Comparative Analysis of Ahmet Hamdi Tanpinar's Travels to European Countries, *European Journal of Multidisciplinary Studies*, Vol.5, Nr.1, p. 78-84
3. Atis, Sinem (2017). Metaphors of Nature in Ahmet Hamdi Tanpinar's Novel Huzur, 2nd International Conference on History, Art, *Literature and Culture in Black Sea Region and South Caucasus*.
4. Atis, Sinem (2016). The Fight of Love with the Values in the Kurban Said's "Ali and Nino", 1st International Conference Proceedings on History, Art, Literature and Culture in Black Sea Region and South Caucasus, p.79-84.
5. Erguvan, Mehtap, Atis, Sinem (2015). Using Analytical Hierarchical Process For Determining Importance Order Of The Most Effective Course Instruments In Turkish Language Learning For Foreigners (with Mehtap Erguven), 5th International Research Conference on Education, p.148-154.
6. Atis, Sinem, Aslan, Mustafa (2015). Determining the Importance Level of Teaching Materials by Using Analytic Hierarchical Process (AHP) in Terms of Their Influence Over

the Development of Language Skills in Teaching Turkish as a Foreign Language, Bartın University Journal of Faculty of Education, Volume: 4, Issue: 2, p. 711-726.

7. Atis, Sinem (2015). Significance of Drama and Drama Exercises in Teaching Turkish as a Foreign Language, the Case of IBSU, International Black Sea University Journal of Education; Vol 4, No 1. p.13-16.